20.02.2020

# ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

## 2020 წლის იანვარი

ექსპორტის ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.3 პროცენტით შემცირდა. ფასების 1.7 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 11.7 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასები გაიზარდა 9.0 პროცენტით, ხოლო სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციაზე 32.9 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2020 წლის იანვარში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2019 წლის იანვართან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **111.7** | **11.71** |
| B | სამთომოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია | 132.9 | 3.88 |
| C | დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია | 109.0 | 7.83 |
| 10 | კვების პროდუქტები | 114.1 | 1.43 |
| 11 | სასმელები | 107.1 | 2.47 |
| 24 | ძირითადი ლითონები | 108.9 | 1.81 |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

**ექსპორტის ფასების ინდექსი**

(წინა  წლის  შესაბამისი თვე = 100)




**საკონტაქტო პირი:** გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)  ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge